ოქმი:**ო37. 37232872**
თარიღი:**14/10/2023**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ალექსანდრე ღლონტის

ანგარიშის მოსმენის სხდომის

ოქმი

2023 წელი, 11 ოქტომბერი
ქ. ოზურგეთი
11სთ-12 სთ.

თავმჯდომარეობდა: ლავრენტი ბიგვავა-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ესწრებოდნენ : საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, საკრებულოს წევრები,

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე, სხდომის თავმჯდომარე ლავრენტი ბიგვავა მიესალმა ამომრჩევლებს-აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება. განაცხადა, რომ ალექსანდრე ღლონტი არის საკრებულოს მაღალი პასუხისმგებლობის მქონე წევრი, იგი რეგულარულად ესწრება და აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრმა,ალექსანდრე ღლონტმა საკრებულოს რეგლამენტის 131 -ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს სხდომებზე, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში. ა.ღლონტმა აღნიშნა, რომ მის მიერ მხარდაჭერილი პროექტებიდან განსაკუთრებით მნიშვნელ*ოვანი* იყო:“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში,“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის საბიუჯეტო განაცხადის პროექტი ,“2023 წლის ბიუჯეტით

გათვალისწინებული ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესი“.

საკრებულოს წევრმა ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე, ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, გადაუჭრელ პრობლემებზე. რომ უშუალოდ მისი შუამდგომლობითა და მერიის ჩართულობით მოგვარებულ იქნა შემდეგი საკითხები:დასრულდა ტენდერი და იწყება სოფელ ნაღობილევში პირველი ბრიგადის წყლით მომარაგების სამუშაოები.გაიწმინდა და მოეწყო სადრენაჟე არხები,რთულად მისადგომ ადგილებში მოეწყო ბეტონის გზის საფარი (სულ- 80 მ) გადაიხურა სტიქიით დაზიანებული სახლები,რეაბილიტირებული იქნა გზები,გაიწმინდა სანიაღვრე არხები.სტიქიით დაზიანებული ოჯახებიდან , მოსახლეობის სასტუმროებში გადაყვანა და დაბინავება,დროებითი განსახლების ადგილებზე დაზარალებულთათვის პირველადი საჭიროების ნივთებისა და პროდუქტის მიწოდება.ჩამოშლილი მიწის მასებისგან გზების გასუფთავება.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. აღინიშნა, რომ ანგარიში იყო უაღრესად საინტერესო და შინაარსიანი, და მიზანშეწონილია შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე ლავრენტი ბიგვავა და აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად შეესაბამება რეგლამენტის მოთხოვნებს,ხოლო ალექსანდრე ღლონტს უსურვა წარმატებები მომავალ საქმიანობაში.

ლავრენტი ბიგვავა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი